სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №

ქ. თბილისი
2020 წელი

შემსყიდველი: სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკი“, წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის ვახტანგ ბრუკიაშვილის სახით;
მისამართი: თბილისი, 0114, სანაპიროს 2;
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 824 148.

მიმწოდებელი: შპს „ნეოლაბი“, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი კამკამიძის სახით;
მისამართი: ქ.თბილისი, ტაშკენტის ქ. 47;
ტელეფონი: 032 239 28 96, 032 239 28 03;
ელ. ფოსტა: neolabgeo@gmail.com
საიდენტიფიკაციო კოდი: 205184352;
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი: სს „თიბისი ბანკი“, კოდი: TBCBGE22, ა/ა: GE 69 TB 1193 3360 2010 0001.

ერთის მხრივ შემსყიდველი და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო, დაავადების წინააღმდეგ პრევენციული ზომების და ინფექციის აღმკვეთი ღონისძიებების გატარების მიზნით შესაბამისი ტესტირების ჩატარების მომსახურების (CPV-85148000) შესყიდვა (შემდგომში „მომსახურება“):

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის სავარაუდო რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	კორონავირუსის SARS-CoV-2 გამოკვლევა PCR მეთოდით (დაჩქარებული წესით)	3	220	660

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სებ–ის საკასო ოპერაციების და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის უფროსი და შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი ან/და მათ მიერ უფლემობამოსილი პირ(ებ)ი.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება დაიწყება 2020 წლის 10 ნოემბერს და ყოველი შემდგომი ტესტირება ჩატარდება არაუმეტეს 72 საათის ინტერვალით.

3.2. მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებლის მისამართზე: ქ.თბილისი, ტაშკენტის ქ. N47.

3.3. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.4. შემსყიდველის მხრიდან 3.3. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 660 (ექვსას სამოცი) ლარს („ხელშეკრულების ფასი“).

4.2. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4.3. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.3 ქვეპუნქტის შესაბამისად შესყიდვის ობიექტის მიღებიდან და მიმწოდებელის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

5.1.1. მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიწოდებული მომსახურება.

5.1.2. არ შეისყიდოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრული რაოდენობა.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების

ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.2. საჯარიმო სანქციების გადახდა შესაძლებელია მოხდეს მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

6.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,02%–ის ოდენობით.

6.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არცერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით ამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია

აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სულ მცირე 30 დღის განმავლობაში მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად შესრულების დღიდან, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემრისა.

მუხლი 13. ზოგადი დებულებები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

13.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია მხარეთა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველის მხრიდან:	**მიმწოდებლის მხრიდან:**
_ საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia	_____
ვახტანგ ბურკიაშვილი	**გიორგი კამკამიძე**
აღმასრულებელი დირექტორი	დირექტორი